

499.96.11
ს-122 ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნანა სააკაძე

სამეურნეო ყოფის ამსახველი ლექსიკა
ქვემოქართლურში

10.02.01 - ქართული ენა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე უ ე რ ა ტ ი

თბილისი
2004

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გუბაზ ვოგატიშვილი (10.02.01)

ოფიციალური ოპონენტები: – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნათელა ქუთელია (10.02.08)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თედო უთურგაიძე (10.02.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 2004 წლის “24” ნოემბერს 12:30 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P.10.01. №7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №1, თსუ პირველი კორპუსი, აუდ. №93).

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (უნივერსიტეტის ქ. №2, მაღლივი კორპუსი).

ავტორეფერატი დაიგზავნა 2004 წლის 21 ოქტომბერს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რ. ქურდაძე

შესავალი
ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ქართლური ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ფუძემდებელია ქართული ენისა. იგი, სხვა დიალექტებთან ერთად, ქართული სალიტერატურო ენის მასაზრდოებელი წყაროა. შეიძლება ითქვას, გავრცელების საზღვრების მიხედვით იგი ყველაზე ვრცელი ტერიტორიული დიალექტია და, ამდენად, ყველგან ერთგვაროვანი არ არის, ამასთანავე, აქტიურად განიცდის სხვა კილოთა გავლენას. მასში გამოიყოფა რეგიონული მეტყველებრივი ნაირსახეობანი კილოკავურ ერთეულთა სახით. მაგალითად, მის დასავლეთ ნაწილს ემხნევა იმერულის გავლენა, ჩრდილო ნაწილს კი – მთიულურისა და ნაწილობრივ ფშაურის. ამ მხრივ შედარებით თავისუფალია ქართლის ცენტრალური ნაწილი.

ქართლის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებთა მეტყველება გრამატიკულ-ლექსიკური თვალსაზრისით განსხვავდება როგორც ერთმანეთისგან, ასევე ცენტრალური ნაწილის მეტყველებისგან, რომელსაც კარგად აქვს შემონახული ქართლურისთვის დამახასიათებელი ძირითადი ენობრივი მოვლენები. ამ თვალსაზრისით, ქართლი ოთხ პირობით ნაწილად განიყოფება:

- 1) დასავლეთი ნაწილი (ბორჯომის, ხაშურისა და სურამის მიდამოები),
- 2) ცენტრალური ნაწილი (შუა ქართლი),
- 3) სამხრეთი ნაწილი (ქვემო ქართლი),
- 4) ჩრდილო ნაწილი (ახალგორის რაიონი და აგრეთვე დუშეთის რაიონში შემავალი ქართლური სოფლები), რომელთა საფუძვლიანი ენათმეცნიერული შესწავლა საშუალებას გვაძლევს სრულყოფილად ავხსნათ სალიტერატურო ქართული ენის დიალექტებში არსებული ენობრივი მოვლენების ისტორიული განვითარების პროცესები. რასაკვირველია, ამ დროს გასათვალისწინებელია მსგავს და განსხვავებულ ფორმათა არსებობა როგორც სალიტერატურო ენაში, ასევე ქართული ენის კილოებშიც, რასაც, ჩანს, დიალექტური ფილიაცია უძევს საფუძვლად.

ქვემო ქართლი – ქართლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი მის ოთხ რეგიონს შორის – საქართველოს ძირბველი, განუყოფელი ნაწილია და უძველესი დროიდანვე იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფუნქციურ დანიშნულებას ასრულებდა საქართველოს საშინაო და საგარეო ცხოვრებაში, როგორც მთლიანად ქართლი.

ქვემოქართლური ქვემო ქართლის მკვიდრთა მეტყველებაა, ერთ-ერთი უაღრესად თავისთავადი და საინტერესო ნიმუშია კუთხური მეტყველებისა და სხვა დიალექტთა შორის ყურადღებას იქცევს ფორმათა თავისებური წარმოებითა და მრავალფეროვანი ლექსიკით. სხვა დია-

¹გვ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, 1974, გვ. 20.

1941